



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

№ 90

25 10 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 ოქტომბრის სხდომის N19 ოქმის მე-4 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N03/12138 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქუჩა N23“-ის ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N23-ში მდებარე კორპუსზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი/მ. „დომენტი ჯიჯელავა“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი – 2094 კვ.მ., განაშენიანების ფართი შენობა 01–659 კვ.მ; 02–15 კვ.მ; 03–15 კვ.მ; 04–15 კვ.მ; 05–18 კვ.მ; 06–18 კვ.მ; 07–16 კვ.მ; 08– 17 კვ.მ; 09–16 კვ.მ; 10– 17 კვ.მ; 11–24 კვ.მ; 12–15 კვ.მ).

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქუჩა N23“-ის თავმჯდომარემ ზამირა მეხტიევამ (პ/ნ. 28001015933), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი